

შპს დელტა კომმი და მისი შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
--------------------------------------	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	8

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	9
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	20
4. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	21
5. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	21
6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	21
7. გაწეული მომსახურების თვითღირებულება.....	22
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	22
9. ზარალები გაუფასურებიდან	22
10. საპროცენტო ხარჯი.....	22
11. მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	23
12. ძირითადი საშუალებები	24
13. არამატერიალური აქტივები	25
14. საინვესტიციო ქონება	26
15. მარაგები	26
16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	26
17. ფული და ფულის ეკვივალენტები	27
18. მიღებული სესხები	27
19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	28
20. მიღებული ავანსები	28
21. პირობითი ვალდებულებები და აქტივები	28
22. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	29
23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	32

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს დელტა კომმის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს დელტა კომმისა და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, და ამავე თარიღში დასრულებული საანგარიშგებო წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ქვემოთ, ჩვენი დასკვნის ნაწილში „აუდიტორის პასუხისმგებლობები“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებული მტკიცებულებები აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სადრიცხო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვსი ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენს აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-720718**)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

26 დეკემბერი, 2018 წელი

შპს დელტა კომპი და მისი შვილობილი კომპანიები

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	4	9,587,809	12,241,950
მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი	5	12,810,583	25,332,491
სულ შემოსავალი		22,398,392	37,574,441
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6	(8,085,656)	(7,481,582)
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	7	(12,545,657)	(11,398,058)
საერთო მოგება		1,767,079	18,694,801
სხვა საოპერაციო შემოსავალი		274,123	562,631
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(6,079,468)	(7,248,814)
კომერციული ხარჯები		(245,266)	(723,833)
ზარალი გაუფასურებუდან	9	(2,289,399)	(2,445,109)
წმინდა მოგება აქტივის გასვლიდან და ჩამოწერიდან		-	3,053,752
სხვა ხარჯები		-	(78,888)
საოპერაციო ზარალი		(6,572,931)	11,814,540
საპროცენტო ხარჯი	10	(545,347)	(2,758,799)
მოგება (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, ნეტი		1,088,878	(3,683,373)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი), ნეტი		(14,472)	155,572
ზარალი დაბეგვრამდე		(6,043,872)	5,527,940
მოგების გადასახადის სარგებელი		-	6,010,680
(ზარალი) მოგება განგრძობითი ოპერაციებიდან		(6,043,872)	11,538,620
მოგება შეწყვეტილი ოპერაციის გასვლიდან	11	1,802,126	-
წმინდა შემოსავალი (ზარალი)		(4,241,746)	11,538,620
სხვა სრული შემოსავალი:			
წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი		51,038	(31,717)
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		(4,190,708)	11,506,903
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)			
მიკუთვლებელი:			
- დედა კომპანიის მესაკუთრეებზე		(4,083,793)	11,588,126
- არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(106,915)	(81,223)
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		(4,190,708)	11,506,903

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 26 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ზ. ზარიძე

ფინანსური დირექტორი _____ გ. გაგნიძე

9-32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს დელტა კომში და მისი შვილობილი კომპანიები
 ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	33,138,038	72,412,192
არამატერიალური აქტივები	13	565,874	1,483,980
გუდვილი	11	-	746,933
საინვესტიციო ქონება	14	297,809	314,022
		34,001,721	74,957,127
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	15	4,753,487	10,018,760
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	13,153,907	5,272,441
ფული და ფულის ეკვივალენტები	17	242,817	1,864,033
		18,150,211	17,155,234
სულ აქტივები		52,151,932	92,112,361
კაპიტალი და ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	18	-	1,922,753
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	3,132,759	3,318,032
		3,132,759	5,240,785
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	18	-	32,853,902
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	3,386,572	3,609,435
მიღებული ავანსები	20	3,277,568	3,862,498
		6,664,140	40,325,835
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		12,275,728	12,275,728
გაუნაწილებელი მოგება		30,248,120	34,382,951
წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი		19,321	(31,717)
სულ ჯგუფის მფლობელებზე მისაკუთვნიებული კაპიტალი		42,543,169	46,626,962
არამაკონტროლებელი წილი		(188,136)	(81,221)
სულ კაპიტალი		42,355,033	46,545,741
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		52,151,932	92,112,361

9-32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს დელტა კომში და მისი შვილობილი კომპანიები

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშო წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნა- წილებელი მოგება	წარსადგენ ვალუტაში გადაანგარი- შების ეფექტი	სულ ჯგუფის მფლობელ ებზე მისაკუთვნ ებული კაპიტალი	არამაკონტ- როლებელი წილი	სულ კაპიტალი
2015 წლის 31 დეკემბრისთვის	12,275,728	26,745,667	-	39,021,395	(42,970)	38,978,425
ინვესტიციის ზრდა	-	103,166	-	103,166	48,972	152,138
ინვესტიციის გაყიდვა	-	(101,966)	-	(101,966)	(6,000)	(107,966)
დივიდენდი	-	(3,983,759)	-	(3,983,759)	-	(3,983,759)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	11,619,843	(31,717)	11,588,126	(81,223)	11,506,903
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	12,275,728	34,382,951	(31,717)	46,626,962	(81,221)	46,545,741
მთლიანი სრული შემოსავალი	-	(4,134,831)	51,038	(4,083,793)	(106,915)	(4,190,708)
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	12,275,728	30,248,120	19,321	42,543,169	(188,136)	42,355,033

შპს დელტა კომში და მისი შვილობილი კომპანიები
 ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
 (ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება დაბეგვრამდე		(4,241,746)	5,527,940
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		4,959,088	7,406,127
მოგება გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან		(20,598)	(1,832,508)
მოგება ვალდებულებების ჩამოწერიდან		(35,384)	(1,221,244)
მარაგების გაუფასურების ხარჯი	9	2,027,529	1,132,834
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი (ამობრუნება)	9	(95,846)	955,662
მოგება შეწყვეტილი ოპერაციის გასვლიდან	11	(1,802,126)	-
არამატერიალური აქტივების გაუფასურების ხარჯი	9	357,716	356,613
წმინდა მოგება საკუროსო სხვაობიდან		(1,088,878)	3,683,373
საპროცენტო ხარჯი, ნეტი	10	545,347	2,758,799
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		605,102	18,767,596
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში			
მარაგების შემცირება		600,886	2,923,006
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(81,923)	(8,048,566)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		(401,772)	4,948,527
მიღებული ავანსების შემცირება		(61,975)	(638,893)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		660,318	17,956,670
გადახდილი პროცენტი		-	(1,852,409)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		660,318	16,099,261
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალების შეძენა		(2,834,344)	(12,514,231)
ძირითადი საშუალების რეალიზაცია		527,177	216,503
არამატერიალური აქტივების შეძენა		(2,139)	(25,322)
გადახდილი დივიდენდი		-	(850,000)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(2,309,306)	(13,173,050)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან:			
გადახდილი სესხები		-	(3,228,528)
გაყიდული ინვესტიცია		-	184,470
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობისთვის		-	(3,044,058)
წმინდა კლება ფულისა და ფულის ეკვივალენტებში		(1,648,988)	(117,847)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	17	1,864,033	1,984,202
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა		(23,266)	29,395
უცხოურ ვალუტაში არსებული ოპერაციების ეფექტი		51,038	(31,717)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	17	242,817	1,864,033

9-32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს დელტა კომში და მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება დელტა კომში (შემდგომში დედა კომპანია) დაფუძნდა 2002 წლის სექტემბერში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 21 ნოემბერს შპს მაგთიკომმა შეიძინა შპს დელტა კომშის აქციების 100% წინამდებარე აქციონერებისგან (პაატა ქიქოძე - 40%, დავით ხუბულური - 40%, Caucasus Growth Fund L.P. - 20%) და შესაბამისად გახდა კომპანიის ერთპიროვნული მესაკუთრე.

დედა კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო არის სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც წარმოდგენილია სამი წევრით: გიორგი ჯოხთაბერიძე, ანდრია ზოდელავა და ნათია კახიძე.

დედა კომპანიის გენერალური დირექტორი არის ზურაბ ზარიძე.

დედა კომპანიის ძირითადი საოპერაციო საქმიანობა არის:

- კომპიუტერული და სატელეკომუნიკაციო ტექნიკის და აქსესუარების იმპორტი და რეალიზაცია
- ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელის/ქსელის მშენებლობა მთელი საქართველოს მასშტაბით;
- ინტერნეტ და საკომუნიკაციო სერვისები.

დედა კომპანია წარმოადგენს IBM, CISCO SYSTEMS, LENOVO, Dell, Juniper, Tripp Lite, PaloAlto, Magnizon, Sopto, Rukus, Axis, Gigamon and Pelco-ს პროდუქციის ძირითად რეალიზატორს ადგილობრივ ბაზარზე. ოპტიკურ ბოჭკოვანი ქსელის მშენებლობა სტრატეგიული პროექტი, რომელიც გამომდინარეობს რეგიონში მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე გაზრდილი მოთხოვნიდან.

იურიდიული მისამართია გაფრინდაულის # 2, თბილისი, საქართველო.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს ჯგუფის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

შპს დელტა კომში და მისი შვილობილები კომპანიების (შემდგომში ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ ჯგუფი საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ჯგუფისთვის.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი ფას-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ პერიოდში და რომლებიც ჯგუფს ნაადრევად არ მოუღია. ასეთი სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს ჯგუფზე ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, ასეთია:

ფას 9 - ფინანსური ინსტრუმენტები.

ფას 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების აღიარების, კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფას 9-ის საბოლოო ვერსია. ის ჩაანაცვლებს ბასს 39-ს, რომელიც უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას და გაზომვას.

ფას 9 ინარჩუნებს, მაგრამ ამარტივებს შერეულ გაზომვის მოდელს და აწესებს სამ ძირითად გაზომვის კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: ამორტიზებადი ღირებულება, რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში და რეალური ღირებულება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივების კლასიფიცირება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს-მოდელსა და ფინანსური აქტივების საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებზე.

ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში იზომება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში. გარდა ამისა, ფას 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები სხვა სრულ შემოსავალში.

ფას 9-ში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა.

ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება და იზომება, გარდა საკრედიტო რისკის ცვლილების აღიარებისა სხვა სრულ შემოსავალში, რომელიც უკავშირდება იმ ვალდებულებებს, რომელიც აისახება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში.

ფას 9 ფონდს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩაანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე, აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება.

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე ადრე დანერგვა. ამჟამად, ჯგუფი აფასებს ახალი სტანდარტის შესაძლო გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფასს 15 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15, „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“ მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” და სარგებელი კლიენტს გადაეცემა. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 - შემოსავლები, ბასს 11 - სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს. სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე ადრე გამოყენებაც. ამჟამად, ჯგუფი აფასებს ახალი სტანდარტის შესაძლო გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 მოქმედების სფეროში შედის ყველა იჯარის ხელშეკრულება, გარდა გამონაკლისებისა. ხელშეკრულება მთლიანად არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების ანაცვლოდ. სტანდარტი მოიცავს ორ გამონაკლისს: საიჯარო აქტივის დაბალი ღირებულება (მაგ: პერსონალური კომპიუტერები) და მოკლევადიანი იჯარები (მაგ: იჯარა, რომლის ვადა ტოლია ან ნაკლებია 12 თვეზე). იჯარის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს იჯარის ვალდებულებას და აქტივს, როგორც აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის ვადის განმავლობაში. მოიჯარემ ცალკე უნდა აღიაროს საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი.

ამ სტანდარტით მეიჯარეთათვის სააღრიცხვო მიდგომა დიდწილად არ იცვლება. ისინი უწინდებურად დააკლასიფიცირებენ იჯარას საოპერაციოდ ან ფინანსურად.

ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან. ამჟამად, ჯგუფი აფასებს ახალი სტანდარტის შესაძლო გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

შპს დელტა კომში და მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზრდასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოების კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც მშობელი კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც იგი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

შიდაჯგუფური სამეურნეო ოპერაციების შედეგები და ნაშთები, ასევე შიდაჯგუფური ტრანზაქციებით წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ელიმინირდება კონსოლიდაციის მიზნებისთვის.

შეძენის მეთოდი გამოიყენება ისეთი შეძენების აღსაღრიცხად, რომელის დროსაც იცვლება საწარმოზე კონტროლი. საწარმოთა გაერთიანებაში გადაცემული კომპენსაცია უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, რომელიც გამოითვლება როგორც შეძენის თარიღით შეფასებული შემდეგი რეალური ღირებულებების ჯამი: მყიდველი საწარმოს მიერ გადაცემული აქტივების, შეძენილი საწარმოს მიერ აღებული ვალდებულებებისა და გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტების.

ბიზნეს კომბინაციის დროს, მყიდველმა საწარმომ შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები, ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით შეძენის თარიღისთვის, ყოველგვარი არამაკონტროლებელი წილის მიუხედავად. თუ შეძენის ღირებულება აღემატება ჯგუფის მიერ ფლობილ იდენტიფიცირებადი აქტივების რეალურ ღირებულებას, ნამეტი თანხა აღიარდება გუდვილის სახით. თუ შეძენის თანხა ნაკლებია შეძენილი შვილობილი კომპანიის წმინდა აქტივების რეალურ ღირებულებაზე, სხვაობის თანხა აღიარდება მოგებასა და ზარალში. შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება მათი გაწევის მომენტში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 4 K Communication LLC (შემდეგში შვილობილი კომპანია), რომელიც არის ინტერნეტ-პროვაიდერი, დაფუძნების ქვეყანა არის სომხეთი. 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს დელტა კომში ფლობს 75%-იან წილს აღნიშნულ შვილობილ კომპანიაში.

2017 წლის 28 თებერვლის შეთანხმების საფუძველზე შპს დელტა კომში შეირჩა მისი 100%-ით ფლობილი შვილობილები : შპს დელტა ნეტი, შპს ა ნეტი, სს მერქანი.

არამაკონტროლებელი წილი

არამაკონტროლებელი წილი არის შვილობილი კომპანიის საქმიანობის წმინდა შედეგების და წმინდა კაპიტალის ნაწილი, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ფლობს დედა კომპანია. არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს. არამაკონტროლებელი წილი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასებულია ინვესტირებული საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციული წილით.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

დედა კომპანია აღრიცხვას ახორციელებს ქართულ ლარში, შვილობილი კომპანია აღრიცხვას ახორციელებს სომხურ დრამებში. ჯგუფის წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი, რაც გულისხმობს, რომ ოპერაციები სხვა ვალუტაში, გარდა ლარისა, წარმოადგენენ უცხოური ვალუტით შესრულებულ ოპერაციებს.

შპს დელტა კომპი და მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შვილობილი კომპანია, რომლებიც ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს წარსადგენი ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, ყველა აქტივს და ვალდებულებას გადაიანგარიშებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღის კურსით, მეწილეების კაპიტალი არის გადაანგარიშებული ისტორიულ კურსით, ხოლო შემოსავლები და ხარჯები გადაანგარიშებულია წლის საშუალო კურსის გამოყენებით.

ბ) ოპერაციები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი) იყო შემდეგი:

	USD	EUR
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044
კურსი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6468	2.7940

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ჯგუფი განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. ჯგუფი არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით. ჯგუფი ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ჯგუფის სესხების და მოთხოვნები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებსა და ფულს და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები არის ადვილად გაცვლადი წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე 3 თვემდე დაფარვის ვადით და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

ჯგუფის სესხები და მოთხოვნები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებსა და ფულს და ფულის ეკვივალენტებს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი კონსოლიდირებული ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზირებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გაუფასურება გამოითვლება აქტივების რისკებთან დამოკიდებულების ანალიზის საფუძველზე და ასახავს ოდენობას, რომელიც ხელმძღვანელობის მოსაზრებით საკმარისია გაუფასურებასთან დაკავშირებული დანაკარგების გადასაფარად. ფინანსური აქტივები რომელთა ინდივიდუალური გაუფასურების შეფასებამ არ გამოავლინა, დამატებით, კოლექტიურადაც ფასდება გაუფასურების დასადგენად და იმის გასარკვევად, თუ რამდენად მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ეს ჯგუფზე.

ამ ანალიზის საფუძველზე იქმნება რეზერვები. ფინანსური აქტივების გაუფასურებაზე კოლექტიურად შესაფასებლად მათი დაჯგუფება ხდება საკრედიტო რისკებისადმი მსგავსი მახასიათებლების მიხედვით.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას, ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეიტხლები ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგება წმინდა თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღიარებული თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

რეალური ღირებულებით შეფასება

ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულებით შეფასება და განმარტება. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის ჯგუფი იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას ჯგუფი ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული).

დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპერიული მონაცემების

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს.

დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ჯგუფის საკუთრებაში არსებულ მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. ცვეთა ერიცხება აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	20-25
ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი და ინფრასტრუქტურა	15-25
ქსელური და მონაცემთა ბაზის აღჭურვილობა	5-8
მანქანა-დანადგარები	5-8
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	4-8
სატრანსპორტო საშუალებები და მძიმე ტექნიკა	4-8

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები

- შეძენილი არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და შემდგომში ამორტიზირდება წრფივი მეთოდით სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.. ამორტიზაციის ხარჯს მოიცავს ადმინისტრაციული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ჯგუფს ძირითადად გააჩნია არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო მომსახურების ვადად 7 წელი აქვთ განსაზღვრული და ამორტიზირდება წრფივი მეთოდით.

- ჯგუფის შიგნით შექმნილი არამატერიალური აქტივი

ჯგუფის შიგნით შექმნილი არამატერიალური აქტივის ღირებულება არის ხარჯების ჯამი იმ თარიღიდან როდესაც არამატერიალურმა აქტივმა პირველად დააკმაყოფილა აღიარების კრიტერიუმები.

ჯგუფის შიგნით შექმნილ არამატერიალურ აქტივთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზდება, იმ შემთხვევაში თუ შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ:

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- ტექნიკურად არის შესაძლებელი პროდუქტის შემუშავება ან გაყიდვა;
- არსებობს საკმარისი და ადეკვატური რესურსები იმისთვის რომ დასრულდეს აქტივის განვითარება;
- ჯგუფს შეუძლია გამოიყენოს ან გაყიდოს პროდუქტი
- პროდუქტი მომავალ ეკონომიკურ სარგებელს მოიტანს და
- პროექტის ხარჯები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

კაპიტალიზებული განვითარების ხარჯები ამორტიზირდება იმ ვადაზე, რა ვადითაც ჯგუფი აპირებს ეკონომიკური სარგებლის მიღებას აქტივის გამოყენებით ან რეალიზაციით. განვითარების ხარჯები, რომლებიც არ შეესაბამება ზემოთხსენებულ კრიტერიუმებსა და ჯგუფის შიგნით შექმნილი პროექტების კვლევის ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობები ან შენობის ნაწილი ან ორივე), რომელსაც ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით. ჯგუფი საინვესტიციო ქონების საწყისი აღიარებისთვის და შემდგომი შეფასებისთვის იყენებს თვითღირებულების მოდელს. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ჯგუფი იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდის საინვესტიციო ქონებაში შემავალი აქტივებისთვის. მიწა არ ცვდება. ცვეთადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადად განსაზღვრულია 25 წელი.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, მარაგების გარდა, განიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, საწარმო ვალდებულია შეაფასოს აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

გაუფასურების მიმოხილვის მიზნებისთვის, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება უცმირეს იდენტიფიცირებად ჯგუფებად, რომელიც წარმოქმნის ისეთი ფულადი ნაკადების შემოსვლას საწარმოში, რომლებიც მნიშვნელოვნად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფებიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადებისგან (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული).

ჯგუფის კორპორაციული აქტივები არ წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებისგან დამოუკიდებლად. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ან ერთეულთა ჯგუფის ანაზღაურებადი ღირებულება, რომელსაც განეკუთვნება კორპორაციული აქტივი.

გაუფასურების ზარალი აღიარდება როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებასა და ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების ზარალის აღიარება უნდა მოხდეს შემდეგნაირად : პირველ რიგში, გაუფასურების ზარალი უნდა განაწილდეს ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე მიკუთვნებულ გუდვილზე და შემდგომ მოცემული ერთეულის სხვა აქტივებზე მოცემულ ერთეულში შემავალი თითოეული აქტივის საბალანსო ღირებულების პროპორციულად.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ გარემოებას (მაგალითად დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), უკვე აღიარებული გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგებაში ან ზარალში ასახვის მეშვეობით პირდაპირ ან შესაბამისი გაუფასურების რეზერვის კორექტირებით. გაუფასურების შებრუნების თარიღისთვის არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ ამორტიზებად ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

მარაგები

ჯგუფის მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ჯგუფი ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი ბიზნეს პროცესის დროს არსებული სავარაუდო სარეალიზაციო ფასს გამოკლებული ცვლადი გაყიდვის ხარჯები. გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

საოპერაციო იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

შეუზღუდავი გამოყენების უფლება

შეუზღუდავი გამოყენების უფლების (IRU) შეთანხმებები ძირითადად დაკავშირებულია სპეციფიური ინფრანსტრუქტურის შეძენა და/ან რეალიზაციისთან, განათების ოპტიკურ ბოჭკოვანი სიმძლავრის შეძენა და/ან რეალიზაციასთან და ქსელის ინფრასტრუქტურის ან განათების ბოჭკოვანი სიმძლავრის გაცვლასთან. ასეთი შეთანხმებები აღირიცხება როგორც იჯარები, მომსახურების კონტრაქტები ან ნაწილობრივ როგორც იჯარა და ნაწილობრივ როგორც მომსახურების კონტრაქტი. შესაბამისი კლასიფიკაციის დადგენა დამოკიდებულია ხელშეკრულების მახასიათებლების შეფასებაზე.

ქსელის სიმძლავრის ხელშეკრულება აღირიცხება როგორც იჯარა მაშინ, როდესაც:

- მყიდველს აქვს ექსკლუზიური უფლება ქსელის კონკრეტულ მოცულობაზე განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში და აქვს შესაძლებლობა გადაყიდოს (ან გააქიროს) იგი; და
- სიმძლავრე არის ფიზიკურად შეზღუდული და განსაზღვრული; და
- მყიდველი პასუხისმგებელია ყველა დანახარჯზე რაც პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულია ქსელის სიმძლავრესთან, საოპერაციო, ადმინისტრაციული და შენარჩუნების ხარჯების ჩათვლით; და
- ხელშეკრულების ვადის განმავლობაში მყიდველი ფლობს მოძველების რისკს.

თუ ყველა აღნიშნული კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია, შეუზღუდავი გამოყენების უფლების შეთანხმება ითვლება მომსახურების კონტრაქტად.

თუ იჯარის ვადა მოიცავს აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მნიშვნელოვან ნაწილს, ამ შემთხვევაში განიხილება როგორც რეალიზაცია და აღირიცხება ბასს 18-ის მოთხოვნების შესაბამისად, სხვა შემთხვევაში ტრანზაქცია განიხილება როგორც საოპერაციო იჯარა და აღირიცხება ბასს 17-ის მოთხოვნების შესაბამისად.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავალს გამოკლებული შესაბამისი გადასახადები აღიარდება, როდესაც მყიდველზე გადადის ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი.

თუ საქონელი და მომსახურება იცვლება განსხვავებული სახის საქონელსა და მომსახურებაზე, ასეთი გაცვლა ითვლება ამონაგების წარმომქმნელ ოპერაციად, მისი სიდიდე კი განისაზღვრება მიღებული საქონლისა და მომსახურების რეალური ღირებულების მიხედვით, კორექტირდება გადაცემული ფულის ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების თანხით. თუ შეუძლებელია მიღებული საქონლისა და მომსახურების რეალური ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა, ამონაგების თანხის შეფასება ხდება გაცემული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემდეგ კორექტირდება მიღებული ფულის ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების თანხის მიხედვით.

ჯგუფის შემოსავალი გენერირდება:

- **პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი.** პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის შეფასება ჩვეულებრივი ბიზნეს პროცესის დროს უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. შემოსავალი აღიარდება, როდესაც არსებობს დამაჯერებელი მტკიცებულება, ძირითადად გაყიდვის ხელშეკრულების სახით, რომ საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს, დაკავშირებული ხარჯებისა და საქონლის შესაძლო დაბრუნების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, არ არსებობს მენეჯმენტის ჩართულობა საქონელთან მიმართებაში და შემოსავლის ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. იმ შემთხვევაში თუ საქონელი გაიცემა ფასდათმობით და თანხა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს, მაშინ ფასდათმობა აღიარდება როგორც შემოსავლის შემცირება, რეალიზაციის აღიარების დროს. საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკებისა და სარგებლის გადაცემის დრო ინდივიდუალურია და განსხვავდება ხელშეკრულების პირობების მიხედვით. კომპიუტერული ტექნიკის რეალიზაციის დროს, გადაცემა, როგორც წესი ხდება როდესაც პროდუქტის მიწოდება ხდება მომხმარებლის საწყობში; თუმცა ოპტიკურ-ბოჭკოვანი წვერების რეალიზაციის დროს, გადაცემა, მომხმარებელთან შეთანხმების საფუძველზე ხდება, როდესაც მიღება-ჩაბარებას მოეწერება ხელი, რაც განაპირობებს აღნიშნული წვერების გადაცემას. ძირითადად, ასეთი რეალიზაციის დროს მყიდველს უკან დაბრუნების უფლება არ გააჩნია.
- **მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი.** მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით. როდესაც, ჯგუფი ერთზე მეტი სახეობის მომსახურებას ასრულებს ერთი ხელშეკრულების ან შეთანხმების ფარგლებში, მიღებული ან მისაღები ანაზღაურება უნდა განაწილდეს გაწეული მომსახურების სახეობების რეალური ღირებულებების მიხედვით.

სამშენებლო კონტრაქტები

სამშენებლო კონტრაქტები აღირიცხება იას 11-ის შესაბამისად, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საკონტრაქტო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით. შესრულების სტადია განისაზღვრება გაწეული ხარჯების მიხედვით. როდესაც მიმდინარე თარიღამდე გაწეულ საკონტრაქტო დანახარჯებს დამატებული აღიარებული შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობა აჭარბებს მიღებულ თანხებს, ეს ნამეტი წარდგენა, როგორც კლიენტებისგან მისაღები თანხები საკონტრაქტო სამუშაოებიდან. ისეთი კონტრაქტების შემთხვევაში, როდესაც მიღებული სახსრები აჭარბებს საკონტრაქტო დანახარჯებს დამატებული აღიარებული შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობას - ნამეტი წარდგება, როგორც საკონტრაქტო სამუშაოებთან დაკავშირებული ვალდებულება კლიენტების მიმართ. შესრულებულ სამუშაოებზე კლიენტებისთვის გამოწერილი თანხები, რომელიც ჯერ არაა ანაზღაურებული წარდგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც მოთხოვნები.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. ჯგუფის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის სპეციფიკიდან გამომდინარე არ არსებობს განსხვავება საქართველოში რეგისტრირებული ჯგუფის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ღირებულებას შორის, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივის ან ვალდებულების არსებობა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება მიღებული შემოსავლს პროპორციულად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები და ბონუსები

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

- მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.
- მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;
- მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

შპს დელტა კომში და მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

გაცემული სესხების და მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი

ჯგუფის მენეჯმენტი, რომელიც ატარებს მოთხოვნების/სესხების კოლექტიური გაუფასურების ანალიზს აფასებს არის თუ არა არსებული ეკონომიკური და საკრედიტო პირობები ისეთი, რომ შესაძლოა დანაკარგები იყოს იმაზე მეტი ან ნაკლები ვიდრე ამას ისტორიული/მანამდე არსებული ტენდენციები კარნახობს. შესაბამისად პირველადი ფაქტორი, რომელსაც ჯგუფი ფინანსური აქტივის გაუფასურების ანალიზისას განიხილავს არის მისი ვადაგადაცილების სტატუსი.

გაუფასურების რეზერვის შეფასებისას გამოყენებული პირველადი ფაქტორი არის ვადაგადაცილების სტატუსი, ქვემოთ მოცემული წინასწარ დადგენილი განაკვეთებით:

ვადაგადაცილების სტატუსი	საპროცენტო განაკვეთი
ვადაგადაცილების გარეშე	0%
1-30 დღემდე ვადაგადაცილება	10%
31-120 დღემდე ვადაგადაცილება	25%
121-365 დღემდე ვადაგადაცილება	50%
ერთ წელზე მეტი ვადაგადაცილება	100%

ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებზე, არამატერიალურ აქტივებსა და საინვესტიციო ქონებაზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

შპს დელტა კომპი და მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

4. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

	2017	2016
IT ტექნიკის რეალიზაცია	9,587,809	10,379,174
ოპტიკურ-ბოჭკოვანი წვერების რეალიზაცია	-	1,862,776
	9,587,809	12,241,950

• IT ტექნიკის რეალიზაცია

ჯგუფი სპეციალიზებულია კომპიუტერულ და სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობის განხრით. შპს დელტა კომპი წარმოადგენს IBM, CISCO SYSTEMS, LENOVO, Dell, Juniper, Tripp Lite, and Pelco-ს პროდუქციის ძირითად რეალიზატორს ადგილობრივ ბაზარზე. ძირითად სარეალიზაციო საქონელს წარმოადგენს მონაცემთა შენახვის სერვერები, სატელეკომუნიკაციო სისტემები და სხვა კომპიუტერული აღჭურვილობები, ასევე, პროგრამები და ლიცენზიები. ჯგუფის ძირითადი მომხმარებლები არიან მსხვილი კომპანიები ან სახელმწიფო დაწესებულებები. საქონელი ძირითადად გაიცემა მომწოდებლის გარანტიით.

• ოპტიკურ-ბოჭკოვანი წვერების რეალიზაცია

ჯგუფმა ხელი მოაწერა შეუზღუდავი გამოყენების უფლების("IRU") ხელშეკრულებას შპს მაგთიკომთან 20 წლით (რაც დაახლოებით წარმოადგენს ოპტიკურ-ბოჭკოვანი წვერის სასარგებლო მომსახურების ვადას) და შპს ჯეოსელთან 20 წლით და დამატებით 5 წლით იმ შემთხვევაში თუ აქტივი შეძლებს დამატებით ოპერირებას. ეს შეთანხმებები აღირიცხება, როგორც აქტივის რეალიზაცია.

5. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

	2017	2016
შემოსავალი ინტერნეტიდან და საკომუნიკაციო მომსახურებიდან*	5,380,833	19,981,976
შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან**	4,137,624	773,642
გადაცემული ღირებულების ტექნიკური მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	2,925,616	2,775,734
შემოსავალი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების იჯარიდან	245,364	245,313
სხვა	121,146	1,555,826
	12,810,583	25,332,491

*2017 წლის 1 მარტს ჯგუფმა საცალო აბონენტებზე ინტერნეტის მიწოდების ბიზნეს მიმართულება სრულად საქართველოს მასშტაბით მიჰყიდა მის ერთადერთ მფლობელს შპს მაგთიკომს (დეტალური ინფორმაცია შეწყვეტილ ოპერაციებზე გაშიფრულია მე-11 შენიშვნაში). შესაბამისად ზემოთ აღნიშნული ინტერნეტიდან და საკომუნიკაციო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი მოიცავს ინტერნეტის საცალო რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს მხოლოდ 2017 წლის პირველი ორი თვისათვის.

**2017 წლის იანვარში შპს დელტა კომპი და მის ერთადერთ მფლობელს შპს მაგთიკომს შორის გაფორმდა სამშენებლო კონტრაქტის ხელშეკრულება. პროექტი ითვალისწინებს ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების დამონტაჟებას ქუჩის განათებებზე და ელექტრო გადამცემ ბოძებზე თბილისში და საქართველოს სხვა რეგიონებში.

6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2017	2016
რეალიზებული IT ტექნიკის თვითღირებულება	(8,085,656)	(7,438,253)
რეალიზებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი წვერების თვითღირებულება	-	(43,329)
	(8,085,656)	(7,481,582)

შპს დელტა კომში და მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

7. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

	2017	2016
ცვეთა	(3,170,893)	(5,609,096)
ხელფასები	(2,535,103)	(1,069,434)
ინტერნეტის შესყიდვის ხარჯი	(1,336,136)	(1,561,129)
სამშენებლო კონტრაქტის თვითღირებულება	(3,749,757)	(689,094)
ხელფასები	(1,548,996)	(261,262)
მივლინების ხარჯი	(1,040,340)	(55,111)
ცვეთა	(523,782)	(96,256)
საწვავი	(328,299)	(34,161)
გამოყენებული მარაგები	(295,666)	(242,304)
სხვა	(12,674)	-
კაბელის განთავსების უფლების მოპოვების ხარჯები	(932,221)	(1,271,198)
სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა	(364,879)	(639,009)
სხვა ხარჯები	(456,668)	(559,098)
	(12,545,657)	(11,398,058)

*დამატებითი ინფორმაცია სამშენებლო კონტრაქტების შესახებ გაშიფრულია მე-5 შენიშვნაში.

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2017	2016
ხელფასები	(2,329,292)	(3,015,976)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,505,454)	(1,791,453)
რემონტის და შეკეთების ხარჯი	(978,846)	(1,111,650)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	(490,748)	(492,057)
კომუნალურები	(251,013)	(235,859)
საკონსულტაციო ხარჯი	(117,762)	(96,627)
საკომუნიკაციო ხარჯი	(75,311)	(108,681)
ოფისის ხარჯი	(72,853)	(113,754)
საწვავი	(43,898)	(53,417)
ბანკის საკომისიოები	(18,137)	(23,818)
სხვა	(196,154)	(205,522)
	(6,079,468)	(7,248,814)

9. ზარალები გაუფასურებიდან

	2017	2016
მარაგების ჩამოწერა ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე	(2,027,529)	(1,132,834)
არამატერიალური აქტივების გაუფასურება (მე-13 შენიშვნა)	(357,716)	(356,613)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების (ხარჯი)	95,846	(955,662)
ამობრუნება (მე-16 შენიშვნა)		
	(2,289,399)	(2,445,109)

10. საპროცენტო ხარჯი

	2017	2016
მფლობელები	(545,347)	(647,626)
ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტები	-	(2,111,173)
	(545,347)	(2,758,799)

შპს დელტა კომში და მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

11. მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან

2017 წლის 1 მარტს ჯგუფმა გაყიდა საცალო ბიზნესი - 17,000,000 დოლარად (დღგ-ს გარეშე), 2017 წლის განმავლობაში ეს არის ერთადერთი ოპერაცია რომელიც წარმოდგენილია, როგორც შეწყვეტილი ოპერაცია.

შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული მოგება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017
არაფულადი კომპენსაცია	43,339,800
ძირითადი საშუალებები	(38,008,411)
მარაგები	(1,979,205)
გუდვილი	(746,933)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(738,446)
არამატერიალური აქტივები	(64,679)
	(41,537,674)

მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან

1,802,126

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება მოიცავს შეწყვეტილ ოპერაციებთან დაკავშირებულ შემდეგ თანხებს:

	2017
საოპერაციო საქმიანობა	4,827,184
საინვესტიციო საქმიანობა	(38,820,023)
საფინანსო საქმიანობა	33,992,839
წმინდა ფულადი სახსრები შეწყვეტილი ოპერაციებიდან	-

შპს დელტა კომში და მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

12. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა და შენობები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები და მძიმე ტექნიკა	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	ქსელური და მონაცემთა ბაზის აღჭურვილობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის ინფრასტრუქტურა	სულ
2015 წლის 31 დეკემბრისთვის	3,672,249	2,340,724	8,979,752	5,007,389	13,459,238	1,531,124	49,345,947	84,336,423
შემოსვლა	29,029	115,012	10,502	198,780	2,179,758	9,485,663	90,104	12,108,848
რეკლასიფიკაცია დაუმთავრებელი მშენებლობიდან	-	-	-	-	-	(8,965,735)	8,965,735	-
ბიზნეს კომბინაცია	221,664	143,134	66,296	53,374	623,257	-	4,628,493	5,736,218
გასვლა	-	(45,090)	(492,435)	(202,477)	(66,695)	-	(58,730)	(865,427)
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	3,922,942	2,553,780	8,564,115	5,057,066	16,195,558	2,051,052	62,971,549	101,316,062
შემოსვლა	-	136,885	2,195,123	58,067	1,049,370	912,027	-	4,351,472
რეკლასიფიკაცია დაუმთავრებელი მშენებლობიდან	-	-	-	-	-	(912,027)	912,027	-
გასვლა	-	(165,722)	(1,429,018)	(259,710)	(454,675)	-	-	(2,309,125)
შეწყვეტილი ოპერაციები	(220,087)	(143,995)	-	(991,502)	(9,198,017)	-	(39,022,703)	(49,576,304)
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	3,702,855	2,380,948	9,330,220	3,863,921	7,592,236	2,051,052	24,860,873	53,782,105
დაგროვილი ცვეთა								
2015 წლის 31 დეკემბრისთვის	(843,985)	(1,481,031)	(5,017,012)	(2,635,580)	(4,046,646)	-	(7,258,499)	(21,282,753)
ცვეთა	(130,552)	(343,632)	(1,022,325)	(727,770)	(2,215,677)	-	(3,538,968)	(7,978,924)
გასვლა	-	24,812	276,154	49,038	5,819	-	1,984	357,807
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	(974,537)	(1,799,851)	(5,763,183)	(3,314,312)	(6,256,504)	-	(10,795,483)	(28,903,870)
ცვეთა	(110,461)	(253,678)	(818,649)	(508,395)	(1,316,762)	-	(1,542,925)	(4,550,870)
გასვლა	-	81,403	1,013,823	46,910	100,644	-	-	1,242,780
შეწყვეტილი ოპერაციები	3,216	29,844	-	622,700	4,088,374	-	6,823,759	11,567,893
	(1,081,782)							
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	)	(1,942,282)	(5,568,009)	(3,153,097)	(3,384,248)	-	(5,514,649)	(20,644,067)
ნეტო საბალანსო ღირებულება								
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	2,948,405	753,929	2,800,932	1,742,754	9,939,054	2,051,052	52,176,066	72,412,192
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2,621,073	438,666	3,762,211	710,824	4,207,988	2,051,052	19,346,224	33,138,038

შპს დელტა კომში და მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

12. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

დაუმთავრებელი მშენებლობა წარმოადგენს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის და ინფრასტრუქტურის მშენებლობის ფარგლებში გახარჯული მარაგების და სხვა მშენებლობასთან დაკავშირებული ხარჯების კაპიტალიზაციას. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ოპტიკურ ბოჭკოვანი ქსელი მოიცავს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მდებარე 1,939 კმ სიგრძის მიწის ქვეშა და 252 კმ სიგრძის მიწის ზედა კაბელს. თბილისში არსებული ქსელიდან დაახლოებით 60 კმ არის მიწის ქვეშა.

13. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	გრძელ- ვადაიანი უფლება*	ოპტიკური ინფრასტრუქტურის მართვის სისტემა	პროგრამა	სხვა	სულ
	1,102,93				
2015 წლის 31 დეკემბრისთვის	5	220,508	992,879	101,952	2,418,274
შემოსვლა	-	-	25,321	151,133	176,454
ბიზნეს კომბინაცია	-	-	15,281	-	15,281
გასვლა	-	-	(420,652)	-	(420,652)
	1,102,93				
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	5	220,508	612,829	253,085	2,189,357
შემოსვლა	-	-	2,139	-	2,139
გასვლა	-	-	-	(34,293)	(392,009)
გაუფასურება**	-	-	(357,716)	-	-
შეწყვეტილი ოპერაციები	-	(12,881)	-	(65,904)	(78,785)
	1,102,93				
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	5	207,627	257,252	152,888	1,720,702
დაგროვილი ამორტიზაცია					
2015 წლის 31 დეკემბრისთვის	(11,446)	(36,969)	(188,119)	(41,077)	(277,611)
ამორტიზაცია	(321,346)	(42,260)	(71,924)	(56,275)	(491,805)
გასვლა	-	-	64,039	-	64,039
	(332,792)	(79,229)	(196,004)	(97,352)	(705,377)
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	(321,346)	(64,349)	(55,796)	(29,048)	(470,539)
ამორტიზაცია	-	-	-	6,982	6,982
გასვლა	-	-	-	4,631	14,106
შეწყვეტილი ოპერაციები	-	9,475	-	-	(1,154,828)
	(654,138)	(134,103)	(251,800)	(114,787)	(1,154,828)
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	(654,138)	(134,103)	(251,800)	(114,787)	(1,154,828)
ნეტო საბალანსო ღირებულება					
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	770,143	141,279	416,825	155,733	1,483,980
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	448,797	73,524	5,452	38,101	565,874

* 4K Communication LLC-ს, Electro Power System Operator JSC-ს და სს არმენტელს შორის გაფორმებული შეთანხმებების მიხედვით, ჯგუფმა მიიღო ინტერნეტის გადატანის უფლება საქართველო/სომხეთის საზღვრიდან სომხეთი/ირანის საზღვრამდე. ხელშეკრულებების ძირითადი პირობები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კონტრაქტორი	ხელშეკრულების ვადა (წლები)	წვერების რაოდენობა
სს არმენტელი	3	2
სს Electro Power System Operator	5	2

** 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ჩამოეწერა ჯგუფის შიგნით შექმნილი არამატერიალური აქტივი - ERP პროგრამა (რომელიც შექმნილი იყო შემდგომში რეალიზაციისთვის), აქტივის გამოყენებიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღების დაბალი ალბათობის გამო. 357,716 ლარის გაუფასურების ზარალი, წარდგენილია სრული

შპს დელტა კომპი და მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც გაუფასურებიდან მიღებული ზარალი.

14. საინვესტიციო ქონება

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა	სულ
2015 წლის 31 დეკემბრისთვის	1,122,408	403,097	1,525,505
გასვლა	(1,122,408)	-	(1,122,408)
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	-	403,097	403,097
შემოსვლა	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	-	403,097	403,097
დაგროვილი ცვეთა			
2015 წლის 31 დეკემბრისთვის	-	(72,862)	(72,862)
ცვეთა	-	(16,213)	(16,213)
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	-	(89,075)	(89,075)
ცვეთა	-	(16,213)	(16,213)
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	-	(105,288)	(105,288)
ნეტო საბალანსო ღირებულება			
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	-	314,022	314,022
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	-	297,809	297,809

2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება საბალანსო ღირებულებებისგან.

15. მარაგები

	2017	2016
მშენებლობისთვის გამიზნული მარაგები	3 225 852	6 793 366
გასაყიდი პროდუქტი	1 527 635	3 225 394
	4 753 487	10 018 760

2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით მარაგებს ღირებულება მოიცავს სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოფასების ზარალს 2,027,529 და 1,132,834 ლარის ოდენობით, წლების შესაბამისად.

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2017	2016
ფინანსური მოთხოვნები		
სხვა მოთხოვნები დაკავშირებულ მხარესთან	9,598,426	-
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებულ მხარესთან	1,989,369	2,387,668
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	3,854,287	5,002,523
საექვო ვალების რეზერვი	(2,606,120)	(2,894,051)
	12,835,962	4,496,140
არაფინანსური მოთხოვნები		
გაცემული ავანსები	238,087	1,188,867
წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	263,382	253,348
საექვო ვალების რეზერვი	(183,524)	(665,914)
	317,945	776,301
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13,153,907	5,272,441

შპს დელტა კომპი და მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებისგან მოკლევადიანი დაფარვის გამო.

ფინანსური აქტივების დაყოფა ვალუტების მიხედვით მოცემულია 22-ე შენიშვნაში.

ფინანსური მოთხოვნები გაუფასურდა როგორც ინდივიდუალურად, ასევე კოლექტიურად. ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული ფინანსური აქტივები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
1 იანვრისთვის	(3,559,965)	(2,771,022)
მიღებული თანხები	95,846	-
რეზერვის ზრდა	-	(213,029)
პერიოდის ხარჯი	95,846	(213,029)
ჩამოწერილი მოთხოვნები	655,518	-
31 დეკემბრისთვის	(2,789,644)	(2,984,051)
ინდივიდუალურად გაუფასურებული	(1,284,784)	-
კოლექტიურად გაუფასურებული	(1,504,860)	(2,984,051)

17. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2017	2016
ფული სალაროში	-	342
ფული ბანკში რეზიდენტ ვალუტაში	217,043	1,058,476
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	25,774	805,215
	242,817	1,864,033

ფულისა და ფულის ეკვივალენტების დაყოფა ვალუტების მიხედვით მოცემულია 22-ე შენიშვნაში.

18. მიღებული სესხები

2017 წლის 1 მარტს, შპს „დელტა კომპ-სა“ და შპს „მაგთიკომს“ შორის გაფორმდა შეთანხმება საცალო ბიზნესის და მასთან დაკავშირებული ყველა აქტივის გადაცემის შესახებ.

ზემოთხსენებული შეთანხმების საფუძველზე ერთმანეთში გაიქვითა საცალო ბიზნესის რეალიზაციიდან წარმოქმნილი მოთხოვნა (შპს „მაგთიკომის“ მიმართ) და სასესხო ვალდებულება 13,333,625.25 აშშ დოლარის ოდენობით. შესაბამისად, ჯგუფს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ გააჩნია სასესხო ვალდებულების ნაშთი. ფინანსური ვალდებულებების რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2016 წლის 31 დეკემბრისთვის	34,776,655
საპროცენტო ხარჯი	545,347
ურთიერთგადახურვა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან	(33,992,839)
გადაფასების ეფექტი	(1,329,163)
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	-

შპს დელტა კომბი და მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

გრძელვადიანი სავაჭრო და სხვა ვალდებულებები სრულად წარმოდგენილია როგორც დღგ-ს ვალდებულება ოპტიკურ-ბოჭკოვანი წვერების რეალიზაციის შედეგად. დღგ-ს ვალდებულება გრძელვადიანი ვალდებულებებიდან რეკლასიფიცირდება მოკლევადიანად იმ შემთხვევაში, როდესაც საგადასახადო მიზნებისათვის მოუწევს დადგენილება.

	2017	2016
სავაჭრო ვალდებულება კლასიფიცირებული როგორც ფინანსური ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულება დაკავშირებულ მხარესთან	-	57,810
სხვა სავაჭრო ვალდებულება	2,979,936	2,885,065
სახელფასო ვალდებულება	44,518	-
	3,024,454	2,942,875
არაფინანსური ვალდებულება		
საგადასახადო ვალდებულება	362,118	666,560
	3,386,572	3,609,435

ისეთი სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

ფინანსური ვალდებულებების განაწილება ვალუტების მიხედვით განმარტებულია 22-ე შენიშვნაში.

20. მიღებული ავანსები

	2017	2016
შპს რკინიგზის ტელეკომი	2,401,068	2,683,547
შპს ჯეოსელი	658,071	658,071
სხვა	218,429	520,880
	3,277,568	3,862,498

მიღებული ავანსი შპს „რკინიგზის ტელეკომისგან“ დაკავშირებულია „IRU“ შეთანხმებასთან, რომელიც გაფორმდა 2011 წელს. ამ შეთანხმების მიხედვით ჯგუფი შპს „რკინიგზის ტელეკომს“ გადასცემს საქართველოს მასშტაბით კონკრეტულ ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელებზე შეუზღუდავ გამოყენების უფლებას 15 წლის ვადით. ეს შეთანხმება კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა.

2009 წლის დეკემბრის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ჯეოსელმა“ შეთანხმებული 2000-კმ-იანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელიდან 2011-დან 2013 წლამდე პერიოდში შეიძინა 1,897 კმ. შედეგად, 2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით მიღებული ავანსის ნაშთი წარმოადგენს დანარჩენ 103 კმ-ზე ავანსად მიღებულ თანხას.

21. პირობითი ვალდებულებები და აქტივები

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრითვის მომავალი საიჯარო გადასახდელები, რომლებიც წარმოიქმნება შეუქცევადი საოპერაციო იჯარებიდან, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
ერთ წლამდე	688,203	1,611,651
ერთიდან ხუთ წლამდე	1,535,962	1,760,535
ხუთ წელზე მეტი	3,460,350	3,766,810
	5,684,515	7,138,996

22. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში ჯგუფი დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, ჯგუფი დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული კონსოლიდირებული ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფისთვის რისკის წარმომქმნელი ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიებია:

	2017	2016
ფინანსური აქტივები		
ფული ბანკში	242 817	1 863 691
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12 835 962	4 496 140
	13 078 779	6 359 831
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	-	34 776 655
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3 024 454	2 942 875
	3 024 454	37 719 530

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცემის სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად ჯგუფი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, საბითუმო მომხმარებელია თუ საცალო, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიმწიფეების არსებობას. მაღალრისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე, ასევე წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე ხორციელდება რეალიზაცია ყოველი ახალი კლიენტის შემთხვევაში.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
ფული ბანკში	242 817	1 863 691
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12 835 962	4 496 140
	13 078 779	6 359 831

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

შპს დელტა კომპი და მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

22. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო. ჯგუფს არ გააჩნია საპროცენტო რისკი, რადგან არ ფლობს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფის საფრთხეს სავალუტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობით გამოწვეული ეფექტების გავლენა მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სომხური დრამი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	217,043	6,199	19,575	-	242,817
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,058,831	9,746,500	30,631	-	12,835,962
	<u>3,275,874</u>	<u>9,752,699</u>	<u>50,206</u>	<u>-</u>	<u>13,078,779</u>
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,423,661	1,260,290	209,400	131,103	3,024,454
ლია საბალანსო პოზიცია	<u>1,852,213</u>	<u>8,492,409</u>	<u>(159,194)</u>	<u>(131,103)</u>	<u>10,054,325</u>

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სომხური დრამი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,054,555	710,876	98,260	-	1,863,691
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,043,298	1,440,293	12,549	-	4,496,140
	<u>4,097,853</u>	<u>2,151,169</u>	<u>110,809</u>	<u>-</u>	<u>6,359,831</u>
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	-	34,776,655	-	-	34,776,655
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,263,594	1,434,727	210,004	34,550	2,942,875
	<u>1,263,594</u>	<u>36,211,382</u>	<u>210,004</u>	<u>34,550</u>	<u>37,719,530</u>
ლია საბალანსო პოზიცია	<u>2,834,259</u>	<u>(34,060,213)</u>	<u>(99,195)</u>	<u>(34,550)</u>	<u>(31,359,699)</u>

22. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**სავალუტო რისკისადმი მგრძნობელობა**

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2017	2016	2016
სავალუტო რისკის მგრძნობელობა	+20%	-20%	+20%	-20%
აშშ დოლარის ეფექტი მოგება/ (ზარალი)	1,698,482	(1,698,482)	(6,812,043)	6,812,043

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

მენეჯმენტი ამ ტიპის რისკებს აკონტროლებს სიმწიფის ანალიზით და განსაზღვრავს სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ჯგუფი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ლიკვიდურობის ანალიზი 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017 1 წლამდე	2016 1 წლამდე
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	242,817	1,863,691
სავაჭრო მოთხოვნები	12,835,962	4,496,140
	13,078,779	6,359,831
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,024,454	2,942,875
მიღებული სესხები	-	34,776,655
ლიკვიდურობის სხვაობა	10,054,325	(31,359,699)
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	10,054,325	(31,359,699)

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ჯგუფი მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნების უნარი თითოეული კომპანიისთვის, ისე რომ არ შეწყვიტოს მეწილეებისათვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მეწილეებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად საქონლისა და მომსახურების შეფასებით.

ჯგუფი განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

შპს დელტა კომპი და მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ჯგუფისა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2017	2016
- მფლობელები	11,587,795	2,387,668
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		
- მფლობელები	-	57,810
მიღებული სესხები		
- მფლობელები	-	34,776,655
შეძენილი მარაგები		
- მფლობელები	136,805	-
სრული შემოსავლის ანგარიშგება შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან		
- მფლობელები	2, 477,317	-
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან		
- მფლობელები	7,230,148	2,775,734
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		
- მფლობელები	(71,972)	(38,750)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
- მფლობელები	97,047	-
საპროცენტო ხარჯი		
- მფლობელები	(545 643)	(291,143)
უმაღლესი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:		
	2017	2016
- თანამშრომლის მოკლევადიანი სარგებელი	115,000	506,076

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს დელტა კომმის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს დელტა კომმისა და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, და ამავე თარიღში დასრულებული საანგარიშგებო წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ქვემოთ, ჩვენი დასკვნის ნაწილში „აუდიტორის პასუხისმგებლობები“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებელი და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებული მტკიცებულებები აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგვემოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნი, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვსი ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნი, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენს აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადგენსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი: ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-720718**)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო


26 დეკემბერი, 2018 წელი

შპს დელტა კომპი და მისი შვილობილი კომპანიები
 სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
 (ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	4	9,587,809	12,241,950
მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი	5	12,810,583	25,332,491
სულ შემოსავალი		22,398,392	37,574,441
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6	(8,085,656)	(7,481,582)
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	7	(12,545,657)	(11,398,058)
საერთო მოგება		1,767,079	18,694,801
სხვა საოპერაციო შემოსავალი		274,123	562,631
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(6,079,468)	(7,248,814)
კომერციული ხარჯები		(245,266)	(723,833)
ზარალი გაუფასურებუდან	9	(2,289,399)	(2,445,109)
წმინდა მოგება აქტივის გასვლიდან და ჩამოწერიდან		-	3,053,752
სხვა ხარჯები		-	(78,888)
საოპერაციო ზარალი		(6,572,931)	11,814,540
საპროცენტო ხარჯი	10	(545,347)	(2,758,799)
მოგება (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, ნეტი		1,088,878	(3,683,373)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი), ნეტი		(14,472)	155,572
ზარალი დაბეგვრამდე		(6,043,872)	5,527,940
მოგების გადასახადის სარგებელი		-	6,010,680
(ზარალი) მოგება განგრძობითი ოპერაციებიდან		(6,043,872)	11,538,620
მოგება შეწყვეტილი ოპერაციის გასვლიდან	11	1,802,126	-
წმინდა შემოსავალი (ზარალი)		(4,241,746)	11,538,620
სხვა სრული შემოსავალი:			
წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი		51,038	(31,717)
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		(4,190,708)	11,506,903
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)			
მიკუთვლელი:			
- დედა კომპანიის მესაკუთრეებზე		(4,083,793)	11,588,126
- არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(106,915)	(81,223)
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		(4,190,708)	11,506,903

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 26 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



ზ. ზარიძე

ფინანსური დირექტორი



გ. გაგნიძე

9-32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კომპანია “დელტა კომმ“-ის
მმართველობითი ანგარიშგება

2017 წელი

1. კომპანიის შესახებ

1.1. ორგანიზაცია

შპს „დელტა კომმი“ (ს/კ 204991795) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად.

კომპანია შპს „მაგთიკომის“ შვილობილს წარმოადგენს და 100%-ით მის საკუთრებაში შედის. ის საქართველოს ბაზარზე კომპიუტერული ტექნიკისა და მასთან დაკავშირებული ლიცენზიების გადამყიდველ ერთ-ერთ უმსხვილეს კომპანიას წარმოადგენს. იგი რეალიზაციას უკეთებს IBM, CISCO SYSTEMS, LENOVO, Dell, Juniper, Tripp Lite და Pelco-ს პროდუქციას და ასევე უზრუნველყოფს მათ ტექნიკურ მხარდაჭერას. დელტაკომმის კიდევ ერთ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკუთარი ოპტიკურ-ბოჭკოვან მაგისტრალში გაუნათებელი დერევის ხელშეუვალი სარგებლობის უფლებით (IRU) გადაცემა, მასზე მესამე პირების დაშვების უზრუნველყოფის მიზნით და აღნიშნული მაგისტრალის ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურება. დელტაკომმი, ასევე, საქართველოს ტერიტორიაზე, საბითუმო ფიქსირებული ინტერნეტის ერთ-ერთი მიმწოდებელია.

შპს „დელტა კომმი“ დაფუძნდა 2002 წლის სექტემბერში, რეგისტრირებული და ფაქტიური ოფისი მდებარეობს მისამართზე: საქართველო, თბილისი, გააფრინდაულის ქუჩა #2.

2016 წლის ნოემბერში შპს „მაგთიკომმა“ შეიძინა შპს „დელტა კომმი“-ს 100%-იანი წილი მის შვილობილ კომპანიებთან ერთად: შპს მერქანი, შპს ა-ნეტი და შპს დელტა-ნეტი. 2017 წლის თებერვალში მოხდა სამივე შვილობილი კომპანიის შერწყმა შპს „დელტა კომმთან“ და იმავე წლის მარტის თვეში შპს „მაგთიკომმა“ შპს „დელტა კომმ“-ისგან შეიძინა საცალო ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული აქტივები.

დელტაკომმის სტრატეგიული მიზანია, რეგიონში კავშირგაბმულობის არხებისა და ინტერნეტის საბითუმო რეალიზაციის უზრუნველსაყოფად, ეფექტური და დივერსიფიცირებული ქსელის მოწყობა. კომპანია ავითარებს თავის გამოცდილებას მაგისტრალური და სააბონენტო ქსელების მშენებლობისა და ოპერირების კუთხითაც.

აღნიშნული მიზნის განხორციელების პროცესში, დელტაკომმი ასევე უზრუნველყოფს კომპიუტერულ ტექნიკასა და უსაფრთხოების სისტემებზე კლიენტების მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, რასაც კომპანია წამყვან საერთაშორისო მომწოდებლებთან მჭიდრო პარტნიორული თანამშრომლობით ახორციელებს.

1.2. მფლობელები და შვილობილი კომპანიები

შპს „დელტა კომმ“-ის მფლობელი არის შპს „მაგთიკომი“ და სრულად კონტროლდება მის მიერ.

შპს „დელტა კომმ“-ის 75%-იან საკუთრებაშია სომხეთში რეგისტრირებული კომპანია 4K Communication. 4K Communication სომხეთში ძალიან მცირე მასშტაბის საქმიანობას ეწევა ინტერნეტის მიწოდების მხრივ. მისი ფინანსური გავლენა შპს „დელტა კომმ“-ის შედეგებში მინიმალურია.

2. ბიზნეს მიმართულებები

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- **საინფორმაციო-ტექნოლოგიური აპარატურის რეალიზაცია და მომსახურება**
როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შპს „დელტა კომმი“ წარმოადგენს მსოფლიოს უმსხვილესი მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლობას საქართველოში და ახდენს მათი პროდუქციის შეძენა-რეალიზაციას თანმდევი მომსახურების უზრუნველყოფასთან ერთად. აღნიშნული მიმართულების ბაზარზე კონკურენცია მუდმივად იზრდება და კომპანიის წილი, შემოსავლებთან ერთად კლებულობს. კომპანია ამ მიმართულებით ბაზრის კორპორატიულ კლიენტებზეა ორიენტირებული, მათ შორის სახელმწიფო ორგანიზაციებზე.
- **ინტერნეტის რეალიზაცია**
შპს „დელტა კომმი“ 2017 წლის პირველი ორი თვის განმავლობაში ინტერნეტის რეალიზაციას ახდენდა როგორც საბითუმო, ასევე საცალო აბონენტებზე. თუმცა 2017 წლის მარტის თვეში, ინტერნეტის საცალო რეალიზაციისთან დაკავშირებული აქტივები და აბონენტები გაყიდვის ოპერაციის შედეგად გადავიდნენ დედა კომპანია - შპს „მაგთიკომში“. დელტა კომმის საქმიანობა ამ მიმართულებით შემოიფარგლება ინტერნეტის საბითუმო რეალიზაციით ძირითადად წვრილ ინტერნეტ პროვაიდერებზე საქართველოს ფარგლებში. ამ მიმართულებით ბაზარზე მთავარ კონკურენტებს წარმოადგენენ შპს „კაუკასუს ონლაინ“, სს „სილქნეთი“. აღსანიშნავია, რომ ინტერნეტის ფასები მუდმივი შემცირების ტენდენციით ხასიათდება, რაც კავშირშია როგორც ინტერნეტის რეალიზაციის, ასევე ინტერნეტის შესყიდვის ფასებთან მიმართებაში.
- **მაგისტრალური და სააბონენტო ქსელის მშენებლობა**
კომპანიამ თავისი არსებობა დაიწყო კავშირგაბმულობის ქსელის მშენებლობით საქართველოში, ამ ქსელის შემდგომი გამოყენების მიზნით სერვისების სარეალიზაციოდ. აღნიშნული მიმართულებით კომპანიას დაუგროვდა მნიშვნელოვანი გამოცდილება, რომელსაც დღეს მისი მშობელი კომპანია მაგთიკომი იყენებს. 2017 წლიდან დაწყებული ქსელის სამშენებლო სამუშაოების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს მნიშვნელოვანი წილი უკავია კომპანიის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მხრივ.
- **საკუთრებაში არსებული ოპტიკურ მაგისტრალში ოპტიკური წყვილების იჯარა**
შპს „დელტა კომმის“ საქმიანობებიდან ერთერთია თავის საკუთრებაში არსებული ოპტიკური კაბელის შემადგენელი წვეროების იჯარით გაცემა.
- **ხელშეუვალი გამოყენების უფლებით (IRU) გაცემული არხების მოვლა**
კომპანიას ხელშეუვალი გამოყენების უფლებით (IRU) გადაცემული აქვს საკუთარი არხები შპს „მაგთიკომი“-სთვის და შპს „ჯეოსელისთვის“. აღნიშნული არხების მოვლას უზრუნველყოფს შპს „დელტა კომმი“, რომლისთვის ის შესაბამის საფასურს იღებს კლიენტებისგან. ამის გარდა, კომპანია იგივე სერვისს უწევს შპს „სილქნეტს“.

3. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები

მოგება-ზარალის უწყისი	2017	2016
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	9,587,809	12,241,950
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	12,810,583	25,332,491
მთლიანი შემოსავალი	22,398,392	37,574,441
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(8,085,656)	(7,481,582)
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	(12,545,657)	(11,398,058)
მთლიანი მოგება	1,767,079	18,694,801
სხვა საოპერაციო შემოსავალი	274,123	562,631
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	(6,079,468)	(7,248,814)
კომერციული ხარჯები	(245,266)	(723,833)
ზარალი აქტივების რეალიზაციიდან და გადაფასებიდან	(2,289,399)	(2,445,109)
მოგება აქტივების რეაზლიციიდან და ჩამოწერიდან	-	3,053,752
სხვა ხარჯები	-	(78,888)
საოპერაციო მოგება/ზარალი	(6,572,931)	11,814,540
ფინანსური ხარჯები (საღდო)	(545,347)	(2,758,799)
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	1,088,878	(3,683,373)
სხვა არასაოპერაციო მოგება/ზარალი	(14,472)	155,572
მოგება/ზარალი მოგების გადასახადამდე	(6,043,872)	5,527,940
მოგების გადასახადი	-	6,010,680
მოგება შეწყვეტილი საოპერაციო საქმიანობის რეალიზაციიდან	1,802,126	-
მოგება/ზარალი მოგების გადასახადამდე	(4,241,746)	11,538,620
სხვა მოგება/ზარალი	51,038	(31,717)
მთლიანი მოგება/ზარალი	(4,190,708)	11,506,903

შემოსავალი

2017 წელს კომპანიის შემოსავლების კლების მთავარი მიზეზი იყო საცალო ინტერნეტ რეალიზაციის ბიზნეს მიმართულების გადაცემა 1 მარტიდან მშობელი კომპანიისთვის - შპს „მაგთიკომისთვის“. 1 მარტიდან ინტერნეტის რეალიზაციის მხოლოდ საბითუმო ნაწილი დარჩა შპს „დელტა კომმ“-ში, რაც მთლიანი 2016 წლის ინტერნეტ მომსახურების შემოსავლის მცირე ნაწილს (10%-15%) წარმოადგენს.

7.6%-იანი კლება დაფიქსირდა გაყიდული საინფორმაციო-ტექნოლოგიური აპარატურის მიმართულებითაც. აღნიშნულის მიზეზი არის მზარდი კონკურენცია აღნიშნულ ბაზარზე. მზარდი კონკურენცია უარყოფითად აისახა გაყიდული აპარატურის მოგების მარჟაზეც, რომელიც 2016 წლის 28.3%-დან 15.7%-მდე დაეცა 2017-ში. 2018 წელს კომპანიამ გააძლიერა აღნიშნული მიმართულებით მომუშავე ჯგუფი.

შემოსავლები საკუთრებაში არსებული ოპტიკურ მაგისტრალში ოპტიკური წყვილების იჯარიდან და შეუზღუდავი გამოყენების უფლებით (IRU) გაცემული არხების მოვლიდან 2017 წელს უმნიშვნელოდ შეიცვალა წინა წელთან შედარებით.

მნიშვნელოვანი ზრდა მოხდა მაგისტრალური და სააბონენტო ქსელის მშენებლობიდან მიღებული შემოსავლებში. აღნიშნული განპირობებულია მაგისტრალური და სააბონენტო ქსელების მშენებლობის კონტრაქტებით მშობელ კომპანიასთან - შპს „მაგთიკომთან“. შედეგად აღნიშნული მიმართულებიდან შემოსავალი 2016 წლის 773.6 ათასი ლარიდან 4.1 მილიონ ლარამდე გაიზარდა 2017 წელს. მიუხედავად მნიშვნელოვანი ზრდისა, აღნიშნულმა ფაქტმა მხოლოდ ნაწილობრივ შეამსუბუქა საცალო ინტერნეტის რეალიზაციის გადაცემით გამოწვეული ჯამური შემოსავლის კლება. საბოლოო შედეგი 2017 წლის ბოლოს იყო ზარალი 4.2 მილიონის ლარის მოცულობით, რაც მეტნაკლებად უცვლელი ხარჯების პირობებში მთლიანად შემოსავლების შემცირებით იყო განპირობებული.

ხარჯები

გაწეული მომსახურების თვითღირებულების შემადგენელი ნაწილები მოყვანილია ქვედა ცხრილში:

ხარჯები	2017	2016
ცვეთა	(3,170,893)	(5,609,096)
ხელფასი	(2,535,103)	(1,069,434)
ინტერნეტის შემენის ხარჯი	(1,336,136)	(1,561,129)
სამშენებლო კონტრაქტებთან დაკავშირებული ხარჯები	(3,749,757)	(689,094)

ხელფასი	(1,548,996)	(261,262)
მივლინება	(1,040,340)	(55,111)
ცვეთა	(523,782)	(96,256)
საწვავი	(328,299)	(34,161)
მასალა	(295,666)	(242,304)
სხვა	(12,674)	-
კაბელების განთავსების უფლების ხარჯი	(932,221)	(1,271,198)
ინფრასტრუქტურის მოვლა-რემონტის ხარჯი	(364,879)	(639,009)
სხვა	(456,668)	(559,098)
სულ	(12,545,657)	(11,398,058)

2017 წლის ცვეთის ხარჯის კლების უმთავრესი მიზეზი არის ინტერნეტის საცალო რეალიზაციის ბიზნეს მიმართულებისა და შესაბამისი აქტივების შპს „მაგთიკომისთვის“ გადაცემა.

ხელფასის ხარჯი

2016 წლი ბოლოს კომპანიაში დასაქმებული იყო 545 ადამიანი, მათ შორის 19 ქალბატონი და 526 მამაკაცი. 2017 წლის ბოლოს მათი რაოდენობა 492 ადამიანამდე შემცირდა (25 ქალბატონი და 467 მამაკაცი). დასაქმებულების საშუალო ასაკი 35-45 წელია. კომპანიაში არის თანამშრომლების ბუნებრივი გადინება, თუმცა შემცირებული რაოდენობიდან საგრძნობი ნაწილი შპს „მაგთიკომში“ იყო გადაყვანილი საცალო ინტერნეტის რეალიზაციის ბიზნეს მიმართულების გადატანასთან ერთად.

სახელფასო ხარჯები 2017 წელს წინა წელთან შედარებით თანამშრომლების რაოდენობის კლებასთან ერთად ფაქტობრივად შემცირდა და კლება ძირითადად ადმინისტრაციასთან დაკავშირებული ხელფასების ნაწილში მოხდა.

საოპერაციო ხარჯების ნაწილში 2016 წლიდან 2017 წლამდე შეინიშნება ხელფასის ხარჯის ზრდა 1.07 მილიონიდან 2.5 მილიონ ლარამდე, მაგრამ ეს გამოწვეულია 2016 წელს საოპერაციო ხელფასების მნიშვნელოვანი წილის კაპიტალიზაციით, რასაც ადგილი არ ქონდა 2017 წელს.

სამშენებლო კონტრაქტებთან დაკავშირებული ხარჯის ზრდის მიზეზი არის გაზრდილი სამშენებლო სერვისების წარმართვა დამკვეთისთვის - შპს „მაგთიკომისთვის“.

კომპანიას გააჩნია ექსკლუზიური უფლება საჰაერო კაბელების განთავსების ქ.თბილისის ქონების მართვის სააგენტოს ბალანსზე რიცხულ გარე განათებისა და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ კუთვნილ ბოძებზე. ამის გარდა, ზოგ შემთხვევებში, კომპანია იყენებს სხვა კომპანიების საკანალიზაციო ჭებს თავისი კაბელების განთავსებისთვის. როგორც ბოძებზე, ასევე კანალიზაციის არხების იჯარისთვის შპს „დელტა კომმი“ წევს შესაბამის ხარჯებს, რომელიც მოყვანილია მუხლში „კაბელების განთავსების უფლების ხარჯი“.

ინფრაქტრუქტურის მოვლა-შენახვის ხარჯის შემცირება, ისევე, როგორც ცვეთის ხარჯის შემცირება, განპირობებულია ძირითადად ინტერნეტის საცალო რეალიზაციის ბიზნეს მიმართულებისა და შესაბამისი აქტივების შპს „მაგთიკომისთვის“ გადაცემით.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯის ჩაშლა მოცემულია აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. აღნიშნული მუხლის ჯამური კლება ძირითადად განპირობებულია ინტერნეტის საცალო რეალიზაციის ბიზნეს მიმართულების გაუქმებითა და შესაბამისი ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შემცირებით.

საბალანსო უწყისიდან მნიშვნელოვანი ცვლილება ფიქსირდება ძირითადი საშუალებების მუხლსა და დებიტორულ დავალიანებაში, რომლის ძირითადი მიზეზი საცალო ბიზნეს მიმართულების გაყიდვასთანაა დაკავშირებული. აღნიშნული ტრანზაქცია განხირციელდა ყიდვა-გაყიდვის ოპერაციით. დეტალური ინფორმაცია მოცემულია აუდირებულ ფინანსურ უწყისებში.

საოპერაციო **ფულადი ნაკადები** 2017 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა საცალო ბიზნეს მიმართულების გაყიდვის შედეგად (16 მილიონი ლარი 2016 წელს და 660 ათასი ლარი 2017-ში). თუმცა შემცირებული იყო შპს „დელტა კომმის“ საინვესტიციო საქმიანობა, რამდენადაც 2017 წელს ქსელისა და ძირითადი აქტივების შეძენა-გაფართოება ძირითადად შპს „მაგთიკომის“ მიერ ხდებოდა.

შპს „დელტა კომმი“ არ გააჩნია დავალიანება საბანკო დაწესებულებების მიმართ. მისი საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები უზრუნველყოფს კომპანიის საქმიანობას საოპერაციო და მცირე საინვესტიციო მიმართულებით.

4. ჯგუფში შემავალი კომპანიების ძირითადი რისკები

ისევე როგორც მშობელი კომპანიისთვის, შპს „დელტა კომმისთვის“ რელევანტურია შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- სავალუტო რისკი;

ზემოთ ჩამოთვლილი რისკების მართვა კომპანიას შეუძლია სხვადასხვა ინსტრუმენტების საშუალებით.

საკრედიტო რისკი კომპანიას შეიძლება წარმოემვას კონტრაგენტების მხრიდან არსებული სავაჭრო მოთხოვნებიდან. აღსანიშნავია, რომ საბითუმო ინტერნეტის მომხმარებელთა აბსოლუტური უმრავლესობა კონსიგნაციით იხდის მომსახურების ღირებულებას. კომპანია ცდილობს მათთან ურთიერთობების გადრმავებას და და პერმანენტულად აკონტროლებს მათი გადახდისუნარიანობის დონეს.

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება.

ლიკვიდურობის რისკი იმართება მკაცრი მენეჯმენტის გამოყენებით, რაც გამოიხატება ფულადი სახსრების მოძრაობის ყოველდღიურ რეჟიმში მონიტორინგით, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსალოდნელი ფინანსური ვალდებულებების დროული დაფარვა.

სავალუტო რისკი - გამომდინარე იქიდან, რომ სატელეკომუნიკაციო ქსელის მშენებლობისა და მოდერნიზაციისთვის საჭირო მოწყობილობების წარმოება საქართველოში არ ხდება, ტელეკომუნიკაციის ოპერატორებს უწევთ აპარატურის, პროგრამული უზრუნველყოფის და შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერის იმპორტი. შედეგად, კომპანიას ვალდებულებები წარმოეშობა უცხოურ ვალუტაში (ძირითადად ევროსა და ამერიკულ დოლარში) და დგება სავალუტო რისკის წინაშე. რისკის დაზღვევის მიზნით, მენეჯმენტი ბიუჯეტირების პროცესში, მაქსიმალურად ითვალისწინებს ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის განვითარების პესიმისტურ სცენარს და პერიოდულად ახდენს თავისუფალი ფულადი სახსრების კონვერტირებას უცხოურ ვალუტაში.

აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია კომპანიის 2017 წლის აუდირებულ ანგარიშგებაში.